ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელიწდეული, 2017

სპეციალური გამოცემა

მედიაციის სტატიათა ეროვნულ კონკურსში გამარჯვებული ნაშრომები

სპეციალურ გამოცემაში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარებულ მედიაციის სტატიათა ეროვნულ კონკურსში გამარჯვებული ნაშრომები. მედიაციის სტატიათა ეროვნული კონკურსი გაიმართა მედიაციის აკადემიური გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელიც ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება.

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ატერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

თბილისი, 2018

ეკატერინე წოწორია, ნინო მიროტაძე
მედიაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 193

Ekaterine Tsotsoria, Nino Mirotadze
Mediation in Juvenile Justice 220

Onise Tsulaia
Self–determination as an Underlying Value of Mediation Process in Ethical Codes and Legal Scholarship: Tensions between Disputant Autonomy and Substantive Fairness..... 240

ონისე წულაია
თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის… 253

გურამ ბარნაბიშვილი*
სოფიკო წიკლაური*

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში

სტატიაში განხილულია ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული, როგორც ამჟამინდელი კანონმდებლობით, ასევე მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გათვალისწინებული, შემდეგი მედიაციის სახეები - სასამართლო, სანოტარო და კერძო მედიაცია - და მათი აღსრულების მექანიზმები. საქართველოში მედიაციის სამართლებრივი მოწესრიგების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც დამყარებულია აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების, მათ შორის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათა ნორმატიული აქტების, დოქტრინისა და არსებული პრაქტიკის სამეცნიერო კვლევის შედეგებზე. ნაშრომში წარმოჩენილია, მედიაციის ბუნებიდან გამომდინარე ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანი, სამედიაციო მორიგების აღსრულების მექანიზმების სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელობა, მისი როლი, როგორც მხარეთა მიერ სამედიაციო მორიგების პირობათა დარღვევის პრევენციაში, ასევე მედიაციისადმი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებისადმი, საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო მედიაცია, სანოტარო მედიაცია, კერძო მედიაცია, სამედიაციო მორიგება, სამედიაციო მორიგების აღსრულების მექანიზმები, საკანონმდებლო ინიციატივა, აკრედიტებული/არააკრედიტებული მედიატორი, სასამართლო/სანოტარო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება, სასამართლო მორიგების აქტი.

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟიორი.

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟიორი.

1. შესავალი

მედიაცია წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, რომელიც რადიკალურად განსხვავდება დავის გადაწყვეტის ისეთი ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა სასამართლო და არბიტრაჟი.[1] ის არის სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესი, რომელსაც უძღვება მხარეთა მიერ შეთანხმებით შერჩეული ნეიტრატული პირი - მედიატორი.[2]

მედიაციას აქვს მრავალი უპირატესობა დავის გადაწყვეტის სხვა ინსტიტუტებთან შედარებით.[3] კერძოდ: კონფიდენციალურობა, ეკონომიურობა, დროის დაზოგვა, მხარეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მხარეთა შორის ურთიერთობის შენარჩუნების მეტი შესაძლებლობა, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება მხარეთა თვითგამორკვევის საფუძველზე და მრავალი სხვა.[4] ეს უპირატესობები აქცევს მას მოდავე მხარეებისთვის მიმზიდველ პროცესად. დიახ, ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარე მედიაციის გზით მიღწეული შეთანხმება მეტად განხორციელებადია, ვიდრე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ დაუშვებელია გამოვრიცხოთ ის, რომ მხარე არ შეასრულებს თუნდაც საკუთარი სურვილით დადებულ სამედიაციო შე-

---

1 *Zalar A.,* Managing Managing Judicial Change Through Mediation - part 1, ADR bulletin, Vol. 6, number 8, article 3, 02.01.2004, 2, <http:// epub- lications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1267&context=adr> [15.12.2017].

2 დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 13.

3 *Fotiadis I.,* Enforcebility of Mediation Agreements in European Union, LLM in Transnational and European Commercial Law and Alternative Dispute Resolution, Thesalloniki, 2013, Abstract, 6, <https:// reposi tory. ihu.edu.gr/xmlui/bitstream/handle/11544/269/Leonidas%20Fotiadis_3645_assignsubmission_file_Foitiadis.Leonidas.Dissertation.pdf?sequence=1>, [15.12.2017].

4 *Orlando A.,* Advantages and Disadvantages of Dispute Resolution Processes, BLANEY McMURTRY LLP, <https://www.blaney.com/sites/ default/files/other/adr_advantages.pdf>, [15.12.2017].

თანხმებას.[5] შესაბამისად, თუ არ იარსებებს მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების გარანტიები, მედიაციის ყოველი უპირატესობა მნიშვნელობას დაკარგავს. სწორედ აღსრულებაა მთავარი სამართლებრივი გარანტი, რის საფუძველზეც ადამიანი რეალურად იცავს საკუთარ უფლებებს.[6]

საქართველოში ბოლო რამდენიმე წელია მართლმსაჯულების მეტი ხელმისაწვდომობისა და ქმედუნარიანობისათვის აქტიურად ინერგება ახალი ინსტიტუტი - მედიაცია,[7] რომელიც საბოლოოდ ფორმულირებული ჯერ კიდევ არ არის. ჩვენი აზრით, აღნიშნული ინსტიტუტის წარმატებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იქნება მისი აღსრულების მექანიზმების გონივრული განსაზღვრა ქართული სოციალური და სამართლებრივი რეალობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

სტატიის მიზანია, მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების იმ აღსრულების მექანიზმების კვლევა, რომელიც საქართველოში არსებობს ან სამომავლოდ შესაძლოა გაითვალისწინოს კანონმდებელმა. კვლევა ორიენტირებულია შეისწავლოს მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების მექანიზმის სახეები და მათი ანალიზის შედეგად მედიაციის საკანონმდებლო ბაზის ფორმირების ეტაპზევე შეიმუშავოს კონკრეტული რეკომენდაციები მედიაციის პროცესის სამომავლო პოპულარობის უზრუნველსაყოფად.

2. მედიაციის ინსტიტუტი საქართველოში

მედიაციის სამართლებრივი რეგულირების საკითხი პრაქტიკოსებს, აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და „მომხმარებ-

---

5 *Alfini J.J., McCabe C.G.,* Mediating in the Shadow of the Courts: A Survey of the Emerging Case Law, (2001), Arkansas Law Review, Vol. 54, No. 2, 2001, 196.

6 *Freeman A.,* The importance of Being Earnest: Enforceability of Mediation Agreements, International Law Office, Australia, 06.11.2012, <http://www.internationallawoffice.com/Newsletters/Litigation/Australia/Piper-Alderman/The-importance-of-being-earnest-enforceability-of-mediation-agreements>, [15.12.2017].

7 *წულაძე ა.*, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2016, 7.

ლებს“ შორის ინტენსიური განხილვის საგანია.[8] საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს კანონი მედიაციის შესახებ, თუმცა სხვადასხვა ნორმატიულ აქტში გათვალისწინებულია მედიაციის სპეციალური სახეები. მათგან სტატიის მიზნებიდან გამომდინარე ყურადღებას გავამახვილებთ სასამართლო მედიაციასა[9] და სანოტარო მედიაციაზე.[10] ასევე შევეხებით კერძო მედიაციას, რომელიც დღესდღეობით სამართლებრივად მოწესრიგებული არაა. შედეგად, მოდავე მხარეებს არ აქვთ არანაირი სამართლებრივი გარანტია მედიაციის პროცესის დადებითი მხარეების დაცვისა. მაგალითად, მხარეებს კითხვის ნიშნები უჩნდებათ კონფიდენციალურობის პრინციპის განხორციელებასთან დაკავშირებით, მათ მოთხოვნებს შესაძლოა დაემუქროთ ხანდაზმულობა, რამეთუ მედიაციის პროცესის მსვლელობისას(გარდა სასამართლო მედიაციისა) ხანდაზმულობის ვადების შეჩერება გათვალისწინებული არაა, მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას არ აქვს აღსრულების სამართლებრივი გარანტია.

ზემოხსენებული მდგომარეობიდან გამომდინარე მისასალმებელია ის ფაქტი, რომ „მედიაციის შესახებ“ ახალი კანონის პროექტზე მუშაობა დაიწყო 2016 წლის გაზაფხულზე ევროკავშირის/EU4Justice და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, USAID/PROLoG-ისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აქტიური ჩართულობით და ფინანსური მხარდაჭერით. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ სასამართლო კორპუსის, იუსტიციის სამინისტროს, მედიატორთა ასოციაციების, აკადემიური წრეებისა და ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტრის თხოვნით, USAID/PROLoG-ისა GIZ-ის მხარდაჭე-

---

8 დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 22.

9 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1997, XXI[1].

10 საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04.12.2009, 38[1].

რით, კანონპროექტის ირგვლივ დასკვნა მოამზადა სლოვენიელმა ექსპერტმა ალეშ ზალარმა, რომელმაც კანონპროექტის საბოლოო ვერსია მთლიანობაში შეაფასა, როგორც ევროპულ და საერთაშორისო მედიაციის სტანდარტებთან შესაბამისი, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე საკანონმდებლო პლატფორმის არსებობას მედიაციის განვითარებისათვის. შედეგად კი დღეის მგდომარეობით არსებობს საკანონმდებლო ინიციატივა „მედიაციის შესახებ" კანონის პროექტისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის სახით(შემდგომ – საკანონმდებლო ინიციატივა).

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სასამართლო, სანოტარო და კერძო მედიაცია და მათი აღსრულების მექანიზმები გამოგვეკვლია, როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ასევე საკანონმდებლო ინიციატივის გათვალისწინებით. კვლევის შედეგების უკეთ წარმოსაჩენად უმჯობესია თითოეული სახის მედიაციის პროცესის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვა.

3. სასამართლო მედიაციის ცნება და მის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობა

3.1. სამამართლო მედიაციის ცნება [11]

„სხვადასხვა სახელმწიფოში მედიაციის პროცედურის წარმართვაში მართლმსაჯულების ორგანოების ჩარევის ხარისხი და ინტენსივობა განსხვავებულია".[12] მედიაციის ერთ-ერთ ასეთ გამოვლინებას წარმოადგენს სასამართლო მედიაცია, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 2011 წლის 20 დეკემ-

[11] შეად.: *Ervo L., Nylund A.,* The Future of Civil Litigation: Acces to Courts and Court-annexed Mediation in the Nordic Countries, Springer International Publishing Switzerland 2014: Chapter 5, *von Bargen J.M.,* In-Court Mediation in Germany: A basic Function of the Judiciary, 77; Chapter 7, *Ervasti K.,* Court-Connected Mediation in Finland: Experiences and Visions, 121; Chapter 8, *Dahlqvist A.,* Mediation in the Swedish Courts: Change by Eu DirecTive?, 137; Chapter 9, *Adrian L.,* Court-Connected Mediation in Danish Civil Justice: A Happy Marriage of a Strained Relationship, 157.

[12] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 62.

ბერს დაემატა XXI[1] თავის – „სასამართლო მედიაცია“ – სახით და 2012 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. 187[1] მუხლის მიხედვით, სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით.

სასამართლო მედიაციის ცნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებული არ არის. მასში მოცემულია მხოლოდ შემთხვევები, თუ როდის გადაეცემა ან შეიძლება გადაეცეს სასამართლო მედიაციას საქმე. სასამართლო მედიაცია მხარეთათვის სავალდებულო შესაძლოა იყოს საოჯახო სამართლებრივ დავებთან (გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებთან და სამეზობლო სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სასამართლო მედიაციას გადასცეს საქმე მიუხედავად მხარეთა თანხმობისა. ხოლო მხარეთა თანხმობის არსებობის შემთხვევაში სასამართლო მედიაციისთვის ნებისმიერი სხვა დავის გადაცემაა შესაძლებელი.[13]

3.2. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ სასამართლო მედიაციის შედეგად მხარეები შეთანხმდებიან, სასამართლო მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.[14] როგორც ვხედავთ, სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება ყალიბდება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების სახით, სადაც სასამართლო დეტალურად და ამომწურავად გან-

---

[13] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1997, 187[3].

[14] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1997, 187[7](1).

საზღვრავს მხარეთა მორიგების პირობებს.[15] აშკარაა, რომ სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება სამართლებრივად გათანაბრებულია სასამართლო მორიგებასთან.[16] შესაბამისად, სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსასრულებლად უნდა გამოვიყენოთ მხარეთა მორიგების შემთხვევაში არსებული წესები. საყურადღებოა, რომ მოსამართლე ამტკიცებს სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების პირობებს. ეს, ცალსახად, წარმოადგენს მედიაციის კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევას.

საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება,[17] რაც სასამართლო მედიაციის შედეგად შეთანხმების მიღწევისას სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვის შესაძლებლობას გამორიცხავს. ამასთანავე თუ სასამართლო მედიაციისას დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა, სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ საბოლოოა და არ გასაჩივრდება.[18] ეს ყველაფერი კი იძლევა დროის მაქსიმალური დაზოგვის გზით აღსრულების შესაძლებლობას. მოვალეს აღარ რჩება არანაირი საშუალება, რომლითაც დროში გაწელავს ან თავიდან აიცილებს აღსრულებას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, სასამართლო მედიაციის შემთხვევაში ცალსახად დაკმაყოფილებულია მხარეთა მოლოდინი მედიაციის მიმართ დროის დაზოგვასა და ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით.მსგავსი

---

15 *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 2007, 374.

16 შეადარე: *Zalar A.,* Managing Judicial Change Through Mediation - part 1, ADR bulletin, Vol. 6, number 8, article 3, 02.01.2004, 8, <http://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1267&context=adr>,[15.12.2017].

17 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1997, 273 (2).

18 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1997, 187^{7}(1).

რეგულაცია ასრულებს პრევენციის როლს შეთანხმების შესასრულებლად - მხარეებს გაცნობიერებული აქვთ რა, რომ ვალდებულების შესრულებას თავიდან ვერ აიცილებენ.

აღნიშვნის ღირსია, რომ სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხთან დაკავშირებით უგულებელყოფილია მხარეთა ნება. აღნიშნული შეთანხმება სასამართლოს მიერ მტკიცდება განჩინების (საქმის მორიგებით დასრულების შესახებ) სახით, რაც მას მხარეთა სურვილის მიუხედავად ავტომატურად ხდის აღსრულებადს. ეს, რასაკვირველია, წარმოადგენს მედიაციის ნებაყოფლობითობის პრინციპის შეზღუდვას და, ამასთანავე, არ შეესაბამება ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნას - სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მხოლოდ მხარეთა სურვილის შემთხვევაში გახდეს აღსრულებადი სამედიაციო მორიგება.[19]

3.3. საკანონმდებლო ინიციატივით გათვალისწინებული სასამართლო მედიაციის ცნება და მის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულებადობა

საკანონმდებლო ინიციატივით სასამართლო მედიაციის მიმართ მიდგომა ძირეულადაა შეცვლილი. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ განსაზღვრულია სასამართლო მედიაციის ცნება – სასამართლო მედიაცია არის მედიაცია, რომელიც ხორციელდება სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემთხვევაში. ხაზი უნდა გავუსვათ ფაქტს, რომ სასამართლო მედიაციაც მედიაციაა და მის მიმართ გამოიყენება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავისებურებათა გათვალისწინებით.

საკანონმდებლო ინიციატივა მედიაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას უწოდებს სამედიაციო მორიგებას და მიჯნავს სასამარ-

---

[19] Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on certain aspects of mediation in civil and commercial matters, 21.05.2008, Art 6.

თლო მორიგებისგან.[20] ეს ცვლილება კი განაპირობებს სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების მოქმედისგან განსხვავებული წესის ჩამოყალიბებას. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების სასამართლოს მიერ აღსრულებისთვის დაქვემდებარება.[21]

საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით სამედიაციო მორიგების მიღწევისას სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, რაც გამორიცხავს სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვის შესაძლებლობას დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც მხარეები სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეულ სამედიაციო მორიგებაში არ გაითვალისწინებენ აღსრულებადობას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოში საქმის წარმოება შეწყდება, შესაბამისად, მხარეები სასამართლოში იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით ვეღარ იდავებენ. ასეთ შემთხვევაში მსგავსი სამედიაციო მორიგება გაუთანაბრდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებას და მხარეებიც იდავებენ საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით გარიგების პირობათა დარღვევისათვის დადგენილი სამართალწარმოების წესებით. აღნიშნული გამომდინარეობს ნორმათა ტელეოლოგიური განმარტებიდან. თუმცა უკეთესი იქნება თუ კანონმდებელი საკითხის გადაწყვეტის ზემოხსენებულ გზას კანონმდებლობაში პირდაპირ გაითვალისწინებს.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ საკანონმდებლო ინიციატივა აღარ ავალდებულებს და უფრო მეტიც არ აძლევს სასამართლოს უფლებას დაამტკიცოს სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგება. შედეგად სასამართლო მედიაციის კონფი-

---

20 *Zalar A.,* Managing Judicial Change Through Mediation - part 1, ADR bulletin, Vol. 6, number 8, article 3, 02.01.2004, 8, <http:// epublications. bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1267&context=adr>, [15.12.2017].

21 Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on certain aspects of mediation in civil and commercial matters, 21.05.2008, Art 6.

დენციალურობა უფრო მეტადაა დაცული. სასამართლო სამედიაციო მორიგების შინაარსს შეამოწმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგება აღსრულების საჭიროება. შესაბამისად, კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ მხარეები ეცდებიან სამედიაციო მორიგებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულებას. აქვე უნდა ითქვას, რომ სასამართლო უარს იტყვის სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე თუ სამედიაციო მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონდებლობას, საქართველოში არსებულ საჯარო წესრიგს, ან თუ მისი აღსრულება შეუძლებელია მორიგების შინაარსიდან გამომდინარე.

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, ერთ-ერთი ან ორივე მხარის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი. განმცხადებელმა უნდა წარადგინოს სამედიაციო მორიგების დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი. სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს ის სასამართლო, რომელმაც საქმე გადასცა მედიატორს. ეს საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა სასამართლოს საქმის გარემოებათა გამორკვევის ხელშესაწყობად შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვა.

4. სანოტარო მედიაციის ცნება და მის შედეგად მიღწეულის შეთანხმების აღსრულებადობა

4.1. სანოტარო მედიაციის ცნება

მთელი მსოფლიოს მასშტაბით მრავალი ნოტარიუსი ითავსებს მედიატორის როლსა და ფუნქციას.[22] „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონს 2012წლის 16 მარტის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად დაემატა 38[1] მუხლი – „სანოტარო მედიაცია“,

---

[22] *Schonewille F., Euwema M.,* Mastering Mediation Education, Maklu, Antwerpen/Apeldoorn/Portland, 2012, *Lesseliers V.,* The Value of Mediations as a Component of the Legal Education, 82.

რომელიც ამოქმედდა 2012 წლის 1 ივლისიდან. სანოტარო მედიაცია არის კერძოსამართლებრივი დავის გადაწყვეტის პროცესი, რომელშიც მხარეები ნებაყოფლობით საწყისებზე ან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სავალდებულო წესით ერთი ან მეტი მედიატორი ნოტარიუსის დახმარებით, აწარმოებენ მოლაპარაკებას სადავო საკითხების თაობაზე შეთანხმების მიღწევის მიზნით.[23]

სანოტარო მედიაცია შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დავაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ასეთ დავაზე მედიაციის განხორციელების სპეციალური წესი. აღნიშნული ნორმისგან გამონაკლისს წარმოადგენს საოჯახო სამართლებრივი (გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა), სამემკვიდრეო სამართლებრივი და სამეზობლო სამართლებრივ დავები.[24] ისინი წარმოადგენენ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეებს,[25] რომელთა წარმოების შესაძლებლობაც კანონმდებელმა სანოტარო მედიაციის გზითაც გახადა შესაძლებელი.

სანოტარო მედიაცია უნდა განხორციელდეს მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, მხარეთა თვითგამორკვევის, ნებაყოფლობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით.[26] ამასთანავე სანოტარო მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია – მედიატორ ნოტარიუსს და მხარეებს არ აქვთ უფლება გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესიდან. ეს წესი არ გამოიყენება თუ მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, ან თუ მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა

---

23 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #71, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31.03.2010, მუხლი 100.

24 საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04.12.2009, 38^1(1).

25 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1997, 187^3.

26 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #71, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31.03.2010, მუხლი 100.

და დოკუმენტს სასამართლოში წარადგენს ის მხარე, რომელმაც გაამჟღავნა იგი, ან თუ ეს ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მეორე მხარემ კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით მიიღო, ან ამ დოკუმენტაციას/ინფორმაციას მხარე ისედაც ფლობდა.

საკანონმდებლო ინიციატივა სანოტარო მედიაციასთან მიმართებით ცვლილებებსა ან/და დამატებით რეგულაციებს არ ითვალისწინებს. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი განასხვავებს სასამართლო და კერძო მედიაციას. აქედან გამომდინარე, ბუნდოვანია სანოტარო მედიაციის ადგილი სამართლებრივ სისტემაში. კერძოდ, არ ჩანს სანოტარო მედიაცია წარმოადგენს მედიაციის დამოუკიდებელ სახეს თუ ის კერძო მედიაციის ერთ-ერთი სახეა.

4.2. სანოტარო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულებადობა

ევროკავშირის დირექტივა იძლევა შესაძლებლობას, სამედიაციო მორიგება გახდეს აღსრულებადი სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე.[27] საქართველოს შემთხვევაში, მსგავსად არაერთი ევროპული ქვეყნისა,[28] ასეთ კომპეტენტურ ორგანოდ ნოტარიუსი გვევლინება.

„ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად თუ სანოტარო მედიაციის პროცესში დავა მხარეთა შეთანხმებით დასრულდა, ნოტარიუსი ადგენს მორიგების აქტს, რომელიც დასტურდება სანოტარო წესით. მაშასადამე, სანოტარო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება წარმოადგენს სანოტარო წესით დამოწმებულ მორიგების აქტს, რომლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულება ხორციელდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის

---

27 Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on certain aspects of mediation in civil and commercial matters, 21.05.2008, Art 6(2).

28 *De Palo G., Trevor M.T.,* EU Mediation Law and Practice, OXFORD UNIVERSITY PRESS, 2012, 63(6.26), 137(11.31), 320(24.20).

საფუძველზე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.[29]

სანოტარო მედიაციის ფარგლებში შემდგარი მორიგების აქტის აღსასრულებლად საქართველოს კანონმდებლობა სააღსრულებო ფურცლის გაცემის განსაკუთრებულ წესს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გამოვიყენოთ ზოგადი წესები რის საფუძველზეც შესაძლებელია ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვა. აქედან გამომდინარე, ნოტარიუსისგან სააღსრულებლო ფურცლის გამოსათხოვად აუცილებელია კუმულაციურად არსებობდეს 2 პირობა: 1.მხარეთა შორის სანოტარო მედიაციის ფარგლებში შედგენილი სანოტარო აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით არსებული შეთანხმება; 2. ამავე აქტში სააღსრულებლო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგების წერილობითი განმარტება.[30] ამასთანავე, სანოტარო მედიაციისას მხარეებს შეუძლიათ სანოტარო მედიაციის ფარგლებში შედგენილი მორიგების აქტში საერთოდ არ გაითვალისწინონ აღსრულების საკითხი. ასეთ შემთხვევაში მხარეს უნარჩუნდება სასამართლოსთვის მიმართვის გზით აღსრულების ფურცლის გამოთხოვის უფლება. სანოტარო მედიაციის აღსრულების მექანიზმი, სასამართლო მედიაციაში არსებულისგან განსხვავებით, არ ზღუდავს მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპს და თანხვედრაშია ევროკავშირის სტანდარტებთან[31].

5. კერძო მედიაცია

5.1. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული კერძო მედიაცია

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში კერძო მედიაცია მოწესრიგებული არაა, რაც სამარლებრივი ჩარჩოს მიღმა ტოვებს კერძო მედიაციის მექანიზმებს. აქედან გამომდინარე, კერძო მე-

---

29 საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04.12.2009, 38[1].

30 იქვე, 38[5].

31 Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on certain aspects of mediation in civil and commercial matters, 21.05.2008, Art 6.

დიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება წარმოადგენს ჩვეულებრივ ხელშეკრულებას და მის მიმართ გამოიყენება კანონმდებლობით ხელშეკრულებების მიმართ გათვალისწინებული ნორმები. კერძო მედიაციის პროცესთან მიმართებით არ არსებობს მედიაციის ძირითადი პრინციპების დაცვის სამართლებრივი გარანტია. მათი გათვალისწინება პირდაპირ უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში. საუბარი ზედმეტია რაიმე სახის აღსრულების მექანიზმის არსებობაზე. კრედიტორი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას სარჩელით მიმართავს სასამართლოს და სამართალწარმოების გზით ითხოვს საკუთარი უფლების დაცვას. შესაბამისად, კერძო მედიაცია მოქმედი რეგულირებით ვერ უზრუნველყოფს მხარეთა ხარჯებისა და დროის დაზოგვის მოლოდინებს, რაც მედიაციის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობაა.

5.2. საკანონმდებლო ინიციატივით გათვალისწინებული კერძო მედიაციაციის ცნება, სახეები და მათი აღსრულებადობა

საკანონმდებლო ინიციატივა კერძო მედიაციას უწოდებს მედიაციას, რომელიც ხორციელდება მხარეთა ინიციატივით, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გარეშე.

საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს მედიატორთა ასოციაციის შექმნას (შემდგომ – მედიატორთა ასოციაცია). მედიატორთა ასოციაციის წევრები არიან მედიატორები, რომლებიც ჩარიცხული არიან მედიატორთა ერთიან რეესტრში. აქედან გამომდინარე შეგიძლია გამოვყოთ კერძო მედიაციის 2 სახე: 1. კერძო მედიაცია, რომელსაც წარმართავს მედიატორთა ერთიან რეესტრში ჩარიცხული მედიატორი (შემდგომ – აკრედიტებული მედიატორი) და 2. კერძო მედიაცია, რომელსაც წარმართავს პირი, რომელიც არ ირიცხება მედიატორთა ერთიან რეესტრში(შემდგომ – არააკრედიტებული მედიატორი).[32] კერძო მედიაციის ამგვარ დიფერენცირე-

[32] შეად.: *De Palo G., Trevor M.T.,* EU Mediation Law and Practice, OXFORD UNIVERSITY PRESS, 2012, 512; იხილე: *Schauer M., Verschraegen B.,* General Reports of the XIXth Congress of the International Academy of Comparative Law,

ბას, რომელსაც არაერთ ქვეყანაში ვხვდებით, დიდი მნიშვნელობა აქვს აღსრულების მექანიზმის გამოყენების მიმართ.[33]

აკრედიტებული მედიატორის მიერ წარმართული კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგება საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით ექვემდებარება აღსრულებას იმავე წესით, რაც საკანონმდებლო ინიციატივითვე გაწერილია სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების მიმართ. იმ განსხვავებით, რომ კერძო მედიაციის შემთხვევაში კრედიტორმა უნდა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

არააკრედიტებული მედიატორის მიერ წარმართული კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგება საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით განიხილება, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წერილობითი ფორმით დადებული გარიგება. ასეთი გარიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით გარიგების პირობათა დარღვევისათვის დადგენილი სამართალწარმოების წესები.

აღნიშვნის ღირსია, რომ სამედიაციო მორიგების არსებობა საკანონმდებლო ინიციატივითაც კი არ წარმოადგენს სარჩელზე უარის თქმის საფუძველს. არააკრედიტებული მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების შემთხვევაში, ეს ლოგიკური და გამართლებულია. სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების შემთხვევაში, საკანონმდებლო ინიციატივით სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა გამოირიცხება განჩინებით – ამ სამედიაციო მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ – და პრობლემაც არ წარმოიშობა. თუმცა საკანონმდებლო ინიციატივის გათვალისწინებით გაურკვეველია რა ხდება მაშინ, როცა სამედიაციო მორიგება აკრედიტებული მედიატორის მიერ წარმართული მედიაციის შედეგია. ამ შემთხვევის-

---

Springer Science + Business Media B.V. 2017, *Espulgues C.,* Civil and Commercial Mediation and National Courts: Towards a New Concept of Justice for the XXI Century?, 10.5.1.3., 238.

[33] *Esplugues C.,* General Report, New Developments in Civil and Commercial Mediation – Global Comparative Perspectives, Vol. 6, International Academy of Comparative Law, 46.

თვის განსაზღვრულია აღსრულების გამარტივებული მექანიზმი, თუმცა ამასთანავე არაა გამორიცხული სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის შესაძლებლობა, რაც გაურკვევლობას იწვევს. მსჯელობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნევთ, საკანონმდებლო ინიციატივაშივე გათვალისწინებულ იქნეს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კიდევ ერთი საფუძველი: სამედიაციო მორიგების არსებობა, გარდა არააკრედიტებული მედიატორის მიერ წარმართული მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგებისა.

შემდგომ განხილული საკითხის უკეთ აღსაქმელად ყურადღების გასამახვილებლად გამოვყფთ საკანონმდებლო ინიციატივით გათვალისწინებულ შემდეგ ნორმებს:

1. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სამედიაციო მორიგება არის „შესასრულებლად სავალდებულო წერილობითი დოკუმენტი მედიაციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ“.

2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[26] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხს განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო...“.

3. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი გამორიცხავს არააკრედიტებული მედიატორის მიერ წარმართული კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობას.

ამ ნორმების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არააკრედიტებული მედიატორის მიერ წარმართული კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული წერილობითი შეთანხმებაც წარმოადგენს სამედიაციო მორიგებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[26] მუხლის მე-2 პუნქტი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტს. გასაგებია, რომ კანონის სპეციალურობიდან გამომდინარე უნდა გამოვიყენოთ „მედიაციის შესახებ“ კანონის პროექტის ნორმა. თუმცა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესმა შეცდომაში შეიყვანოს მედიაციის მომხმარებელი. ამიტომ, შესაძლო ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწო-

ნილად მივიჩნევთ, რომ აღნიშნული ნორმები კიდევ ერთხელ გადაისინჯოს. ამ პრობლემის მოგვარების არაერთი გზა არსებობს. მათ შორის, თუ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[26] მუხლის მე-2 პუნქტი დაზუსტდება დანაწესით, რომ აღნიშნული პუნქტი არ გამოიყენება ისეთი კერძო მედიაციას მიმართ, რომელსაც წარმართავს პირი, რომელიც არ ირიცხება მედიატორთა ერთიან რეესტრში.

6. დასკვნა

სტატიაში გამოკვლელულმა საკითხებმა, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთხელ დაადასტურა მედიაციის ზოგადი სამართლებრივი მოწესრიგებისა და მედიაციასთან დაკავშირებით უკვე არსებული ნორმების გადახედვის აუცილებლობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ევროკავშირისა (EU4Justice) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში USAID/PROLoG-ისა და GIZ-ის აქტიური ჩართულობით და ფინანსური მხარდაჭერით შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივა. მედიაციის სამართლებრივი რეგულირებისას უნდა დაბალანსდეს ორი ძირითადი ასპექტი: ჩამოყალიბდეს, როგორც პროცესი, და მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს მისი არაფორმალურობა.[34] შეიძლება ითქვას, რომ თეორიული გადმოსახედიდან საკანონმდებლო ინიციატივა ამ მისიას თავს ართმევს, ობიექტურ რეალობას კი პრაქტიკა გამოაჩენს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ზემოხსენებული საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე გამოვყავით მედიაციის 3 ძირითადი სახე: სასამართო მედიაცია, სანოტარო მედიაცია და კერძო მედიაცია, რომელიც თავის მხრივ 2 განსხვავებულ ტიპად იყოფა იმის მიხედვით თუ ვინაა მისი წარმმართველი მედიატორი. თითოეული სახის მედიაციას განსხვავებული აღსრულების მექანიზმი აქვს. გონივრულად შერჩეული აღსრულების მექანიზმი კი მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიური გადაწყვეტის საშუალების, წარმატების გარანტია.

---

[34] *Cortes P.,* Online Dispute Resolution for Consumers in the European Union, Routledge Taylor & Francis Group, London and New York, 2011, 159.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მედიაციის მოქმედი რეგულაციით, ჩვენი აზრით, გაუმართლებლად იზღუდება მედიაციის უმთავრესი პრინციპები: მხარეთა ნებაყოფლობითობა,[35] რამეთუ სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება მტკიცდება განჩინების სახით მხარეთა მორიგების შესახებ და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას მიუხედავად მხარეთა სურვილისა, და კონფიდენციალურობა,[36] რადგან მოსამართლე სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების დამტკიცებისას დეტალურად და ამომწურავად განსაზღვრავს მხარეთა მორიგების პირობებს. ამ ორივე პრინციპის შეზღუდვა განპირობებულია სასამართლო მორიგებისა და სასამართლო მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების სამართლებრივი გათანაბრებით. მისასალმებელია, რომ საკანონმდებლო ინიციატივა განასხვავებს მათ და ითვალისწინებს თითოეულისთვის განსხვავებულ რეგულაციებს.[37]

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ სტატიამ ცხადყო რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სამედიაციო მორიგების აღსრულების წესის საკანონმდებლო რეგულაციისას მისი თითოეული დეტალის განსაზღვრას. კანონმდებლობაში სამედიაციო მორიგების აღსრულების მექანიზმის გარკვეული ხარვეზებით ასახვამ, შესაძლოა გამოიწვიოს მედიაციის ინსტიტუტის დისკრედიტაცია და წარუმატებლობა საქართველოში. შესაბამისად, იმედს გამოვთქვამთ, რომ ნაშრომში წარმოდგენილი კონცეპტუალური მიგნებები სათანა-

---

35 *Doherty N., Guyler M.,* The Essential Guide to Workplace Mediation and Conflict Resolution: Rebuilding Working Relationships, KOGAN PAGE, 1st ed., London and Philadelphia, 2008, 12; *Hopt K.J., Steffek F.,*Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, United Kingdom, 2013, Chapter 1, *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Comparison of Laws, Regulatory Models, Fundamental Issues, 109.

36 *Van Schijndel R.A.M.,* Confidentiality and Victim-Offender Mediation, Maklu, Antwerpen/Apeldoorn/Portland, 2009, 182; *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, United Kingdom, 2013, Chapter 1, *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Comparison of Laws, Regulatory Models, Fundamental Issues, 49.

37 *Zalar A.,* Managing Judicial Change Through Mediation - part 1, ADR bulletin, Vol. 6, number 8, article 3, 02.01.2004, 8, <http:// epublications. bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1267&context=adr>.

დო აისახება საკანონმდებლო ინიციატივაში, რომელიც შეცვლილი ფორმით, რაც შეიძლება მალევე, აისახება საქართველოს კანონმდებლობაში.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14.11.1997, XXI[1], მუხლი 1873 273, 273(2), 1877(1).
2. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04.12.2009, მუხლი 38, 38[1].
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #71, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31.03.2010, მუხლი 100.
4. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2013, 13, 22, 62.
5. *ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ.,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 2007, 374.
6. *წულაძე ა.,* სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევროამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2016, 7.
7. Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on certain aspects of mediation in civil and commercial matters, 21.05.2008, Art 6, 6(2).
8. *Alfini J.J., McCabe C.G.,* Mediating in the Shadow of the Courts: A Survey of the Emerging Case Law (2001), Arkansas Law Review, Vol. 54, No. 2, 2001, 196.
9. *Cortes P.,* Online Dispute Resolution for Consumers in the European Union, Routledge Taylor & Francis Group, London and New York, 2011, 159.
10. *De Palo G., Trevor M.T.,* EU Mediation Law and Practice, OXFORD UNIVERSITY PRESS, 2012, 63(6.26), 137(11.31), 320(24.20), 512.
11. *Doherty N., Guyler M.,* The Essential Guide to Workplace Mediation and Conflict Resolution: Rebuilding Working Relationships, KOGAN PAGE, 1st ed., London and Philadelphia, 2008, 12;

12. *Esplugues C.,* General Report, New Developments in Civil and Commercial Mediation – Global Comparative Perspectives, Vol. 6, International Academy of Comparative Law, 46.
13. *Ervo L., Nylund A.,* The Future of Civil Litigation: Acces to Courts and Court-annexed Mediation in the Nordic Countries, Springer International Publishing Switzerland 2014: Chapter 5, von Bargen J.M., In-Court Mediation in Germany: A basic Function of the Judiciary, 77; Chapter 7, *Ervasti K.,* Court-Connected mediation in Finland: Experiences and Visions, 121; Chapter 8, *Dahlqvist A.,* Mediation in the Swedish Courts: Change by Eu DirecTive?, 137; Chapter 9, *Adrian L.,* Court-Connected Mediation in Danish Civil Justice: A Happy Marriage of a Strained Relationship, 157.
14. *Fotiadis l.,* Enforcebility of Mediation Agreements in European Union, LLM in Transnational and European Commercial Law and Alternative Dispute Resolution, Thesalloniki, 2013, Abstract, 6, <https: //repository.ihu. edu. gr/ xmlui/bitstream/handle/11544/269/Leonidas%20Fotiadis_3645_assignsubmission_file_Foitiadis.Leonidas.Dissertation.pdf?sequence=1>.
15. *Freeman A.,* The Importance of Being Earnest: Enforceability of Mediation Agreements, International Law Office, Australia, 06. 11. 2012,<http://www.internationallawoffice.com/Newsletters/Litigation/Australia/Piper-Alderman/The-importance-of-being-earnest-enforceability-of-mediation-agreements>.
16. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, United Kingdom, 2013, Chapter 1, *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Comparison of Laws, Regulatory Models, Fundamental Issues, 109.
17. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Comparison of Laws, Chapter 1, Regulatory Models, Fundamental Issues, 49.
18. *Orlando A.,* Advantages and Disadvantages of Dispute Resolution Processes, BLANEY McMURTRY LLP, <www. blaney. com/sites/default/files/other/ adr_advantages.pdf>.
19. *Schonewille F., Euwema M.,* Mastering Mediation Education, Maklu, Antwerpen/Apeldoorn/Portland, 2012, *Lesseliers V.,* The Value of Mediations as a Component of the Legal Education, 82.
20. *Van Schijndel R.A.M.,* Confidentiality and Victim-Offender Mediation, Maklu, Antwerpen/Apeldoorn/Portland, 2009, 182; *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, United Kingdom, 2013.

21. *Schauer M., Verschraegen B.,* General Reports of the XIXth Congress of the International Academy of Comparative Law, Springer Science + Business Media B.V. 2017, *Espulgues C.*, Civil and Commercial Mediation and National Courts: Towards a New Concept of Justice for the XXI Century?, 10.5.1.3., 238.
22. *Zalar A.*, Managing Judicial Change Through Mediation - part 1, ADR bulletin, Vol. 6, number 8, article 3, 02.01.2004, 3, 8, <http://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1267&context=adr>.